სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის
ბრძანება №
ქ. ქუთაისი
01-04/8 _____ 2019 წელი 31 იანვარი

წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №16 განკარგულების შესრულების მიზნით,

ვბრძანებ:

1. დაევალოს აწსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს თავიანთ ფაკულტეტებზე უზრუნველყონ აწსუ-ს სტუდენტებისათის წერილობითი შეტყობინებების დაგზავნა (აწსუ კორპორაციული ფოსტის და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებებით), რათა უმოკლეს ვადაში გამოვლინდეს არასრულად აცრილი ან აუცრელი პირები, რომლებიც საჭიროებენ წითელას კომპონენტის შემცველი ვაქცინის 1 დოზით ვაქცინაციას;

2. დაევალოს აწსუ-ს სტუდენტებს აწსუ-ს ადმინისტრაციიდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ წითელას კომპონენტის შემცველი ვაქცინაციის ჩატარების შესახებ ინფორმაციის უმოკლეს ვადაში წარმოდგენა. იმ სტუდენტების მხრიდან, რომლებიც საჭიროებენ აცრას, ინფორმაციის მიწოდებიდან ორი თვის ვადაში აცრის დამადასტურებელი ცნობის წარუდგენლობის შემთხვევაში, აწსუ-ს ადმინისტრაცია განიხილავს ამ პირთათვის აწსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების საკითხს.

3. დაევალოთ აწსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს, უზრუნველყონ შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის/ცნობების დამუშავება და წითელას ვაქცინაციას დაქვემდებარებული პირების სიის, ასევე იმ პირთა სიისა და თანდართული დოკუმენტების, რომელთაც ჩატარებული აქვთ წითელას ვაქცინაცია, აწსუ-ს რექტორისათვის წარმოდგენა.

4. დაევალოთ რექტორის მოადგილეს (ბ-ნი შალვა კირთაძე), ფაკულტეტების დეკანებს და აწსუ-ს ექიმს (ქ-ნი მაია ბურჯალიანი)შექმნან სამუშაო ჯგუფი, რათა ორგანიზება გაუწიონ აწსუ-ს შენობაში, არაგეგმიური იმონოპროფილაქტიკის მიზნით აწსუ-ს

სტუდენტებისათვის გამსვლელი სამედიცინიო ბრიგადების მიერ წითელას კომპონენტის შემცველი ვაქცინაციის ჩატარებას ან ორგანიზებული ჯგუფების ჩამოყალიბებას სამედიცინო დაწესებულებაში გადასაყვანად.

5. ბრძანება საჯაროდ გაცნობისა და გამოქვეყნების მიზნით გამოიკრას აწსუ-ს საინფორმაციო დაფებზე, ასევე განთავსდეს აწსუ-ს ვებგვერდზე.

6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

საფუძველი: საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N16 განკარგულება

რექტორი
გიორგი ღავთაძე